

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მარტი ---- 2017

წელი ქ.

ოზურგეთი

დადგენილება №-----

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების
დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

დაადგინა:

მუხლი 1. დამტკიცდეს „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ (თან ერთვის).

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

დავით დარჩია

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის
საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მუხლი 1.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების (შემდგომში - საჯარო დაწესებულების) დირექტორი უნდა იყოს 21 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე და ფლობდეს სახელმწიფო ენას.

მუხლი 2.

საჯარო დაწესებულების დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებით დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- ა) უმაღლესი განათლება (სასურველია განათლების მიმართულებით);
- ბ) საჯარო ან/და კერძო სექტორში მუშაობის გამოცდილება – არანაკლებ 1 (ერთი) წელი; გ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Microsoft Office) ცოდნა.

მუხლი 3.

საჯარო დაწესებულების დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებით დადგინდეს შემდეგი ნორმატიული აქტებისა და თემატიკის ცოდნა:

- ა) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- ბ) საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“;
- გ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- დ) სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში არსებული სტანდარტები (საგანმანათლებლო, ინფრასტრუქტურის, წყალი-სანიტარია-ჰიგიენის, კვების);
- ე) სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტები;
- ვ) ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პრინციპები; ინკლუზიური განათლების პრინციპები; ბავშვის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვის პრინციპები.

მუხლი 4.

საჯარო დაწესებულების დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარ-ჩვევები:

- ა) საჯარო დაწესებულების ბიუჯეტის მართვის შესაძლებლობის;
- ბ) ადამიანური რესურსის მართვის შესაძლებლობის;
- გ) კომუნიკაციური და ლიდერობის უნარები;
- დ) მოლაპარაკების წარმოების და ადვოკატირების შესაძლებლობის;
- ე) სტრესულ სიტუაციებში მუშაობის შესაძლებლობის;
- ვ) კვლევის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების ანალიზის;
- ზ) დოკუმენტაციის წარმოების.

განმარტებითი ბარათი

„სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

2. პროექტის ავტორები: გამგებლის მოადგილეები - არჩილ ყაზაიშვილი, გიორგი ლურჯუმელიძე. საკრებულოს სხდომაზე მომხსენებელი: გიორგი ლურჯუმელიძე.

3. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები: ა) პროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა) პროექტის შემუშავების საფუძველია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი;

ა.ბ) „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებასაღებებს წარმოადგენს „მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

ბ) პროექტის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ბ.ა) პროექტით განისაზღვრება „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“;

ბ.ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

4. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას. ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

5. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2017 წლის 29 მარტი.